ხელშეკრულება №შ18-/177
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე - 3 პუნტქის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე
(33 02 02)

ქ. თბილისი 06.07./2018 წ.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი ბაქრაძის სახით და შპს „წისქვილი ჯგუფი", შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით წივწივაძის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:
წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:
1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „შემსყიდველი" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.
1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV-55500000) სამინისტროს მიერ სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების (რესტორნის) მომსახურების შესყიდვა, დანართი N 1 შესაბამისად.
2.2 დანართი N 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის თარიღია 2018 წლის 11 ივლისს რესტორან „წისქვილი"-ში, (წყნეთი) 8 პერსონაზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის დ.ღ.გ.

4.2 პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 1256 (ერთი ათას ორას ორმოცდა თექვსმეტი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარს და 65 თეთრს, დანართი N 1-ის შესაბამისად.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, ანგარიშ-ფაქტურის, საგადახდო ქვითრის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ,,მიმწოდებელს" შესაბამისი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

8.3 მომსახურების გაწევის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროტოკოლის სამმართველოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო დადიანი.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 დეკემბერი ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.
12.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
[]/კ: 203851126
მის: თბილისი, სანაპიროს N4
სახელმწიფო ხაზინა
კოდი:220101222

მიმწოდებელი:

შპს „წისქვილი ჯგუფი“
ს/კ: 202 200 778
სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE72 TB11 0000 0037 4677 69

მინისტრის მოადგილე
გიორგი ბაქრაძე

გენერალური დირექტორი
დავით წიფწიფაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაფორმებულ №შ18-177 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

გ. ბაქრაძე

ზ. მიმინოშვილი

ლ. ჩირგაძე

ნ. რაზმაძე

ი. დარბუაშვილი

ნ. შუბლაძე

ნ. ფერაძე

ქ.თაბორიძე

ნ. დადიანი

დანართი №1 პრეისკურანტი

დასახელება	ერთეულის ფასი
სალათები	
საფირმო სალათა "წისქვილი წყნეთში"	11.50
ბოსტნეულის სალათა	7.00
სოკოს სალათა ნიგვზით	13.50
კიტრი პომიდვრის სალათა გლეხურად	7.00
კიტრი პომიდვრის სალათა ნიგვზით	8.50
კიტრი პომიდვრის სალათა მაიონეზით	7.50
ბერძნული სალათა	8.50
თინუსის სალათა	15.00
სალათა "ცეზარი" ქათმით	14.00
ქათმის სალათა შავი ქლიავით	10.00
სალათა "ოლივიე" ქათმის ხორცით	5.00
ქათმის ღვიძლის თბილი სალათა	18.00
საქონლის ენის სალათა	12.00
ხბოს სალათა აღმოსავლურად	16.00
ბოსტნეულისა და რძის ნაწარმის ცივი კერძები	
ბოსტნეულის თაიგული	14.00
ზეთის ხილი (შავი)	6.50
ზეთის ხილი (მწვანე)	6.50
მწვანილის ასორტი	4.00
ფხალის ასორტი	13.50
ჭარხლის ფხალი	7.50
ისპანახის ფხალი	8.00
მწვანე ლობიო ნიგვზით (სეზონურად)	6.50
პრასის ფხალი	7.00
ეკალა ნიგვზით	6.00
ბადრიჯანი ასორტი	16.50
ბადრიჯანი ნიგვზით	10.00
აწეწილი ბადრიჯანი ნივრით და ქინძით	7.00
გებჟალია	10.00
ბადრიჯნის რულეტი ყველით და მაიონეზით	9.00
ყვავილოვანი კომბოსტო ბაჟეში	10.00
მჟავის ასორტი	6.00
კიტრის მჟავე	5.50
ნივრის მჟავე	5.00
წიწაკის მჟავე	3.00
პომიდვრის მჟავე	3.00
ჯონჯოლი გლეხურად	4.00
წითელი კომბოსტოს მჟავე	3.50
ყველის ასორტი "კავკასიური"	21.00
ყველი სულგუნი	9.00
ყველი იმერული	8.50

ყველი შებოლილი სულგუნი	7.00
ყველი გუდა	13.00
ყველი ქარხნული	8.00
ნადული სულგუნის ფირფიტებში	6.00
ნადული პიტნით	4.00
ცივად მოხარშული ბურვაკი გურული აჯიკით	19.50
საქონლის ენა მოხარშული	10.50
რაჭული ლორი მოხარშული კარტოფილით	20.00
ბურვაკი მოხარშული	18.00
მუჟუჟი	8.00
ბოსტნეულისა და რძის ნაწარმის ცხელი კერძები	
ქამა სოკო კეცზე	8.00
ქამა სოკო კეცზე სულგუნით	11.00
ქამა სოკოს ოჯახური ბოსტნეულით	8.00
ქამა სოკოს ჩაქაფული	8.00
ქამა სოკოს ჩაშუშული პომიდორში	10.50
ქამა სოკოს ჩახრაკული ხახვით და ქინძით	8.00
ქამა სოკო კეცზე ხორცით	14.50
ხის სოკოს მწვადი	8.00
ხის სოკოს ჩაშუშული პომიდორში	12.00
ხის სოკოს ჩახრაკული კვერცხით და ქინძით	11.00
პომიდორი კვერცხით	8.00
ლობიო ქოთანში მუავეულით და მჭადით	7.00
კარტოფილი მექსიკურად	7.00
კარტოფილი შემწვარი ოჯახურად ხახვით	5.00
აჯაფსანდალი კეცზე ყველით	14.00
სულგუნი შემწვარი კეცზე	9.50
სულგუნის ბურთულები შემწვარი	7.50
სულგუნი შემწვარი რიზონში	12.00
შებოლილი სულგუნი შემწვარი რიზონში	12.00
ელარჯის ბურთულები შემწვარი	7.00
თევზის ცხელი კერძები	
გარბული გრილზე შემწვარი	11.00
კალმახი შემწვარი შამფურზე	10.00
შემწვარი კალმახი ბროწეულის წვენში	11.00
არაგვის თევზი შემწვარი	13.00
შემწვარი სტავრიდა (სეზონურად)	6.50
შავი ზღვის ბარაბულკა შემწვარი	11.00
ხორცის ცხელი კერძები	15.00
ყალია	
მწვადები	32.00
ქათმის მწვადი	
ხბოს მწვადი რბილი	11.00
ღორის მწვადი შერეული	15.50
ხინკალი	12.00
ქალაქური ხინკალი	
მთიულური ხინკალი	0.80
მოხევური ხინკალი	0.80
თუშური ხინკალი	0.85
	0.00

სოკოს ხინკალი	0.65
კარტოფილის ხინკალი	0.55
ყველის ხინკალი	0.90
ლობიოს ხინკალი 5 ც	4.00
ქაბაბი	
ქაბაბი ქათმის	8.00
ქაბაბი ცხვრის	11.00
ქაბაბი შერეული	8.50
ქაბაბი ხბოს	9.50
ცომეული	
პურის დაფა	7.50
შოთის პური	1.20
ბლინი ხორცის	2.00
პური ჭვავის	1.50
სომხური ლავაში	1.00
მჭადი ზეთში 2ც	2.50
მჭადი გამომცხვარი	1.50
ჭვიშტარი	3.00
ცოცხალი ჭარხლის ფოთლის ფხლოვანა	7.50
ლობიანი ლორით	12.00
ღია ისპანახის ფხლოვანი არაჟნით და ყველით	10.00
ღომი	3.50
თონი ლობიანი ლორით	8.00
ლობიანი შამფურზე	6.00
ხაბიზგინა	7.50
ხაჭაპური მეგრული	13.50
ხაჭაპური შამფურზე	8.00
ხაჭაპური აჭარული	7.00
ხაჭაპური იმერული	10.50
ელარჯი	5.50
კუტაბი ხორცის	4.50
კუბდარი	12.00
გარნირი	
ბრინჯი ბოსტნეულით	4.00
წიწიბურა მოხარშული	2.50
კარტოფილის პიურე	3.00
კარტოფილი მოხარშული	3.00
ახალი კარტოფილი შემწვარი (სეზონურად)	6.00
კარტოფილი ფრი	5.00
კარტოფილი შემწვარი ტაფაზე	5.50
სოუსები	
კეტჩუპი	2.00
მაიონეზი	2.00
მაიონეზი სამარხვო	2.00
არაჟანი	3.00
მაწონი	3.00
მდოგვი	2.00
ნაშარაფი	2.50
ბრონწეულის წვენი	2.50
ტყემალი	2.00
საწებელი ტომატის	2.00

ბაჟე	6.00
აჯიკა გურული	7.00
აჯიკა პომიდვრის	3.00
აჯიკა მშრალი	2.00
მაყვლის სოუსი	3.00
ნივრის სოუსი	2.00
სოიოს სოუსი	2.00
დესერტი	
ხილის ასორტი (სეზონური)	22.50
საკონდიტრო ნაწარმი	
ხილის ტორტი	7.00
ჩისქეიქი	7.50
ტრიუფელი	7.00
შოკოლადის ტორტი	7.00
სამეფო ტორტი	7.50
კერძები წინასწარი შეკვეთით	
გამაგრილებელი სასმ.	
ლიმონათი	2.50
ბორჯომი	2.20
ნაბეღლავი	2.20
სნოს წყალი	2.50
კომპოტი	8.00
კოკა-კოლა	2.50
საკონდიტრო ნაწარმი	
ნამცხვარი	6.50
ხილის ტორტი	6.50
ჩიზქეიქი	6.50
სამეფო ტორტი	6.50
შოკოლადის ტორტი	6.50
შოკოლადის ფილა	3.00
ტირამისუ	4.00
ჩაი ყავა	
ჩაი მწვანე	4.00
ჩაი შავი	4.00
ამერიკანო	4.00
ნალექიანი ყავა	2.50
ალკოჰოლური სასმელი	
თ/მ წინანდალი	23.00
თ/მ საფერავი	29.00
სულ ჯამი პრეისკურანტი	1256.65 ლარი
მომსახურების %	

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გიორგი ბაქრაძე

MINISTRY OF CULTURE AND SPORT OF GEORGIA
203851126

ᲫᲙᲡ „ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ“-ᲘᲡ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
დავით წიკლაური

TSISKVILI GROUP LTD
202200778